ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№022

ქ.ბათუმი. 21 იანვარი 2015წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ შ.პ.ს.,,რესპუბლიკური,კლინიკური,ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო" წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკა ზოიძის სახით. მისამართი ბათუმი, კახაბერის ქ.N36. ს.ს. „საქართველოს -ბანკი". ბანკის ა/ნGE37BG0000000347264800. ბანკის კოდიBAGAGE22. საიდენტიფიკაციო კოდი 248384234.- (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს „ სანდასუფთავება" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით. მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.N55. ს.ს. „ლიბერთი ბანკი". ბანკის ანგარიშის ნომერი GE14LB0610005734020009 .ბანკის კოდი: LBRTGE22. საიდენტიფიკაციო კოდი; 245 54 81 53.

2 . ხელშეკრულების საგანი

2 .1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს –კლასიფიკატორის(CPV)კოდი –90500000 – " ნარჩენებთან და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები"– (სამედიცინო სპეცნარჩენების –ბ,გ,დ ინსინატორზე გატანა და შემდეგი უტილიზაცია).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერაუდო ღირებულება შეადგენს –1200 (ათას ორასი) ლარს.

4 . მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „შემსრულებელი" ვალდებულია:
ა) შემსყიდველს გაეწიოს ხარისხიანი მომსახურება.
4.2 „შემსრულებელი" უფლებამოსილია:
ა) „შემსყიდველისაგან" მოითხოვოს მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანაზღაურება.
4.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) „შემსრულებლისგან" მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა ხარისხიანად შესრულება.
ბ) „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) ხელი შეუწყოს „შემსრულებელს" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისთვის სათანადო და უსაფრთხო პირობების შექმნა.
ბ) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დროულად უზრუნველყოს „შემსრულებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება.
გ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოახდინოს მიმწოდებელთან სათანადო შერულებული სამუშაოს აქტის გაფორმება.

5 . ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში.
5.2 ანგარიშსწორება შემსრულებელთან მოხდება შესაბამისი ანგარიშ– ფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 30 სამუშაო დღის განმავლობაში

5.3 . ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6..2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7. უფლებების გადაცემა

7..1. მიმწოდებელმა შემსრულებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8..1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისდა გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8..2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტაა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9..1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

9..2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებიაგან.

9..3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

10.2 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. ფორს - მაჟორი

11..1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11..2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11..3. „ფორს-მაჟორული“ გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ჯდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოარვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარეაკების დაწყებიდან 30 (ოცდა ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 დეკემბრამდე.**

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	შემსრულებელი
შ.პ.ს.,,რესპუბლიკური,კლინიკური,	შპს "სანდასუფთავება“
„ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“	
მის:ბათუმი, კახაბერის ქ.N36.	მის: ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.N55
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს. „ ლიბერთი ბანკი“
ა/ნGE37BG0000000347264800	ბანკის ა/ნ GE14LB0610005734020009
ბანკის კოდი BAGAGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ს/კ 248384234–	საიდენტიფიკაციო კოდი: 245 54 81 53
დირექტორი: ე. ზოიძე	დირექტორი: დ. ასამბაძე.

შპს„სანდასუფთავება" 2015 წლის 31 დეკემბრამდე ხელშეკრულება №022					
ფასების ცხრილი დანართი №5					
დასახელება	ითადი მახასიათებ	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი	საერთო ფასი
ბ.ჯგუფის სამედიცინო სპეცნარჩენების გატან			12	100	1200